მონიტორინგის ანგარიში № 1

აუდიტის ანგარიშის №:	1
თარიღი:	10/11/2019 -11/11/2019
ორგანიზაციის დასახელება:	შპს „BLACK SEA SHIPPING REGISTER"
მონიტორინგის ჯგუფი:	ირაკლი სირაბიძე, მერაბ გოგიტიძე, ნინო ასათიანი,ინგა აშმეიბა
აუდიტის მოცულობა: 10/09/2019	10:00 – 18:00
აუდიტის მოცულობა: 11/09/2019	10:00 – 18:00

1. <u>შესავალი:</u>

ჯგუფის ხელმძღვანელმა შპს „BLACK SEA SHIPPING REGISTER"-ის დირექტორს კახა კახაილიშის, გააცნო მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა, დღის წესრიგი და მონიტორინგის მიზანი, კერძოდ, სააგენტოსა და „BLACK SEA SHIPPING REGISTER" შორის დადებული ხელშეკრულების, 6.7 პუნქტის შესაბამისად, პირველი 3 თვიანი შემოწმების ჩატარება.

შპს „BLACK SEA SHIPPING REGISTER" ახორციელებს შიდა ნაოსნობაში ჩართული (ნაპირიდან 12 საზღვაო მილის ფარგლებში) მცურავი საშუალებების ტექნიკურ ზედამხედველობას.

2. <u>მონაწილეები:</u>

შპს „BLACK SEA SHIPPING REGISTER" -ის დირექტორი კახა კახაილაიში;
დამილ გედენიძე - სურვეერი;

3. <u>შედეგები:</u>

<u>მონიტორინგის ჯგუფმა გადაამოწმა სააგენტოს მიერ ბოლო აუდიტის დროს დაფიქსირებული აღმოფხვრის მიზნით გატარებული მაკორექტირებელი ქმედებები. დაადგინა, რომ ნაწილობრივ აღმოფხვრილია შემდეგი შეუსაბამობები. კერძოდ:</u>

1. **ორგანიზაციას არ ჰყავს ერთი ან მეტი დასახელებული პირი, რომელიც პასუხისმგებელი რომელიმე ტექნიკური მენეჯერის არ ყოფნის დროს შეასრულებს წარმომადგენლის როლს შემოწმებაზე (შემოწმების კითხვარი -1.1.5).**
   - N04 (25.01.2018) შიდა ბრძანებით, დიანიშნა ზაზა თოლორდავა - რადიო სურვეერის პოზიციაზე.
   - N 09 ბრძანება (17.05.2019) შიდა ბრძანებით,დაინიშნა ვაჟა გოგუაძე - კორპუსის სურვეერის პოზიციაზე.
2. **საკლასიფიკაციო საზოგადოებას ჯერ-ჯერობით არ აქვს ჩამოყალიბებული მიუკერძოებლობის საკითხი (შემოწმების კითხვარი - 1.2.1).**
   - მიკერძოების საკითხი განსაზღვრულია ფორმით Qu-F-017
     მაგ: სურვეერის - დამილი გედენიძის მიერ ხელმოწერით დადასტურებული 17.08.2018.
3. **საკლასიფიკაციო საზოგადოების ხელმძღვანელობას არ აქვს განსაზღვრული მიუკერძოებლობის ვალდებულება (შემოწმების კითხვარი - 1.2.5).**
   - მიუკერძოებლობის ვალდებულება განსაზღვრულია ფორმით Qu-F-017, რომელიც განთავსებულია თანამშრომელთა პირად საქმეში.
4. **არ არის წარმოდგენილი საკლასიფიკაციო საზოგადოება არის თუ არა, დამოუკიდებელი იმ პირობების გათვალისწინებით, რომლითაც ის ეწევა საკუთარ მომსახურეობას (შემოწმების კითხვარი - 1.2.6) .**
   - შემუშავებულია დოკუმენტი N001/2 (ივლისი,2018 წლის)
5. **დამოუკიდებლობის საკითხი და ეთიკის (ქცევის) კოდექსი არ არის შემუშავებული (შემოწმების კითხვარი - 1.2.7.) .**
   - შემუშავებულია დოკუმენტით N001/2-თან ერთვის თანამშორმელთა მიერ ხელმოწერილი გაცნობის ფურცელი.

6. **კონფიდენციალურობის საკითხი არ არის ჩამოყალიბებული (შემოწმების კითხვარი - 1.2.9 1.2.10).**
   - განსაზღვრულია ფორმით Qu-F-017. დოკუმენტი. თან ერთვის თანამშორმელთა მიერ ხელმოწერილი გაცნობის ფურცელი.
7. **ეთიკის კოდექსი არ არის შემუშავებული საკლასიფიკაციო საზოგადოების მიერ (შემოწმების კითხვარი - 1.2.11.).**
   - შემუშვებულია დოკუმენტით N001/2. თან ერთვის თანამშორმელთა მიერ ხელმოწერილი გაცნობის ფურცელი
8. **პერიოდულობა შიდა აუდიტების ჩატარების შესახებ არ არის წარმოდგენილი (შემოწმების კითხვარი -1.3.3./1.3.4.2).**
   - პერიოდულობა განსაზღვრულია შიდა აუდიტების მართვის პროცედურაში N:Qu.PR-04 მე-7 პუნქტში დამატებულია ჩანაწერი: "შიდა აუდიტები და შემაჯამაბელი მიმოხილვა უნდა ჩატარდეს წელიწადში არანაკლებ ერთხელ. ცვლილება განხორციელდა 20.08.2018 წ.
10. **შემაჯამებელი მიმოხილვის შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი (შემოწმების კითხვარი - 1.3.3.1 /1.3.3.2/1.3.3.3).**
   - შემაჯამებელი მიმოხილვა ჩატარებულია 28.08.2018, რომელიც დადასტურებულია ოქმით N:01.
11. **წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სურვეერის თანამდებობრივ ინსტრუქციასთან გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დამილი გედენიძე), ხოლო სხვა დანარჩენ სურვეერებზე არ არის წარმოდგენილი (შემოწმების კითხვარი - 1.3.4).**
   - შესრულებულია
12. **აუდიტის პროგრამა არ არის წარმოდგენილი (შემოწმების კითხვარი - 1.3.4.1).**
   - აუდიტის პროგრამა შემუშავებულია 31.07.2018
13. **საჩივრებისა და აპელაციების მიღების და გადაწვეტილების მიღების პროცესი არ არის გაწერილი პროცედურებში. შესაბამისად 4.1 პუქნტიდან 4.6-მდე საკითხები არ არის გაწერილი და არც არის განხორციელებული, რადგან კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ გემების ტექნიკურ ზედამხედველობას ვერ აწარმოებენ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აღიარების გარეშე (შემოწმების კითხვარი - 4.1).**
   - პროცედურა შემუშავებულია და დამტკიცებულია 21.08.2018 (Qu.PR-07) თუმცა არ არის საჩივრებისა და აპელაციების აღრიცხვის რეესტრის შემუშავება და წარმოება.

ქვემოთ მოცემული გამოვლენების მიმართ გატარებული მაკორექტირებელი ქმედებების აღმოსაფხვრელი ქმედემების დოკუმენტური ამ მატერიალური მტკიცებულება არ იქნა წარმოდგენილი.

14. **არ არის წარმოდგენილი მენეჯმენტის შემოწმების გადაწყვეტილებები, რომლებიც პროცესის ეფექტურობას ეხება (შემოწმების კითხვარი - 1.3.3.4).**

<u>წინა აუდიტის დროს გამოვლენილი შენიშვნების აღმოფხვრის სტატუსი.</u>

1) **რისკები მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არ არის განსაზღვრული (შემოწმების კითხვარი - 1.2.3).**
   - აუდიტის დროს ვერ წარმოადგინეს შესაბამისი მტკიცებულება.
2) **არ არის შემუშავებული პრევენციული ქმედებების შესახებ პროცედურა (შემოწმების კითხვარი - 1.3.6.1).**
   - პროცედურა შემუშავებულია და დამტკიცებულია 20.08.2018 (Qu.PR-09).
3) **არ არის წარმოდგენილი, მკაფიოდ განსაზღვრული და დელეგირებული ფუნქციები პერსონალის პასუხისმგებლობის, უფლებამოსილებისა და ურთიერთობის საკითხის მიმართ (შემოწმების კითხვარი - 1.3.7.).**
   - განსაზღვრულია თანამდებობრივ ინსტრუქციებში.
4) **არ არის წარმოდგენილი სწავლების (ტრეინინგის) გეგმა (შემოწმების კითხვარი - 2.1.1.).**
   - დამტკიცებულია ფორმით Mn.F-011 2018 წლის გეგმა.

<u>ასევე შემოწმდა თანამშრომელთა 2019 წლის სასწავლო (ტრეინინგის) გეგმა. IV კვარტალში დაგეგმილია შემდეგი სახის გადამზადების კურსები: უფროსი სურვეერი, რადიო სურვეერი და კორპუსის სურვეერი. ასევე დაგეგმილია ISO 9001:2015 შიდა უდიტორის კურსები დირექტორისა და ოფის მენეჯერისთვის.</u>

1. **Mn.PR-01 სწავლების ორგანიზების და ჩატარების პროცედურაში მოყვანილია სხვადასხვა დონეები, მაგრამ არ არის წარმოდგენილი მოცემულის დადასტურება (შემოწმების კითხვაი - 2.1.2).**
   - შემუშავებულია პერსონალური ტრეინინგ ფორმა Mn.F-012 01-08 და სასწავლო გეგმა ფორმა Mn.F-011

<u>წინა აუდიტის დროს გაცემული რეკომენდაციებთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი გარემოება:</u>

1. **მოახდინონ საქართველოს შიგა წყლებში 12 საზღვაო მილის ფარგლებში მცურავი საშუალებების ტექნიკურ ზედამხედველობაზე შემოწმება დამოწმების ჩეკ-ლისტის განახლება დიზაინთან, კონსტრუქციასთან და გემების პერიოდულ შემოწმებასთან დაკავშირებით, რომელიც იქნება განახლებადი და გაუმჯობესებული.**
   - ამ მომენტისათვის არ არის გათვალისწინებული
2. **წარმოადგინოს საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი წესები გემების აღჭურვილობის შესახებ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 17 მარტის ბრძანება № 01 თანახმად (შემოწმების კითხვარი - 3.1.2).**
   - აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოიცა ახალი რეკომენდაცია N
3. **ორგანიზაციას არ აქვს წამოდგენილი გეგმების დამოწმების, დიზაინის გამოთვლების, პროექტების და ანგარიშების სერტიფიკატების გასაცემად დადგენილი პროცედურები (შემოწმების კითხვარი - 3.1.2.1).**
   - N/A
4. **შეიქმნას რეესტრის განახლებული წიგნი გამოცემული ან ხელმისაწვდომი ელექტრონულ ფორმატში (შემოწმების კითხვარი - 3.1.3).**
   - შესრულებულია რეესტრი შევსებულია ელექტრონული სახით.
5. **ორგანიზაციამ განიხილოს ადმინისტრაციის მიერ გაგზავნილი დირექტივები (შემოწმების კითხვარი - 3.1.4).**
   - სააგენტოს მხრიდან, ორგანიზაციას განემარტა რომ, გამოცემულ რეგულაციებზე წვდომა შესაძლებელია სააგენტოს ვებ- გვერდის გამოყენებით.
6. **ორგანიზაციამ დროულად უნდა უზრუნველყოს ადმინისტრაციის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია, ადმინისტრაციის და ყველა სხვა შესაბამისი მხარეების მიერ (შემოწმების კითხვარი - 3.1.5).**
   - გათვალისწინებულია
7. **წარუდგინოს ორგანიზაციამ ადმინისტრაციას წინასწარ წერილობით და ელექტრონული სახით ასლები, ყველა წესები, ფორმები და განმარტებები (შემოწმების კითხვარი - 3.1.6).**

- ნაწილობრივ შესრულებულია (წარმოდგენილია დისკი), მიეცათ რეკომენდაცია მატერიალური სახით წარმოადგინონ ყველა არსებული მოწმობების ნიმუში. ასევე მიზანშეწონილია შიდა ტექნიკური წესები ითარგმნოს ქართულად.

8. **შეიქმნას კონტრაქტის ან/და მუშაობის შეკვეთის კონტროლის სისტემა (შემოწმების კითხვარი - 3.1.8).**
   - მონიტორინგის დროს კონტროლის სისტემა არ იყო წარმოდგენილი.
9. **უნდა ექვემდებარებოდეს გამოთვლები და გადაგზავნილი მონაცემები შემოწმებებს (შემოწმების კითხვარი - 3.1.9).**
   - ნაწილობრივ გათვალისწინებულია.
10. **შემოწმების პროცედურების ეფექტური შესრულების საჩვენებლად ორგანიზაციამ უნდა აწარმოოს ჩანაწერების სისტემა (შემოწმების კითხვარი - 3.2.1).**
   - რეესტრი შემუშავებულია, შეყვანილია ყველა მცურავი საშუალების მონაცემი, რომელიც შემოწმდა. გამომდინარე იქედან, რომ ორგანიზაციამ ფუნქციონირება წელს დაიწყო, სასურველია მომდევნო მონიტორინგის დროს ხელახლა გადამოწმდეს
11. **წარმოადგინოს გასული წლის განმავლობაში ჩატარებული შემოწმებების (ადგილი, თარიღი და სფერო) ნუსხა და გაცემული სერტიფიკატები შემოწმების კითხვარი - 3.2.4).**
   - აღიარებულ ორგანიზაციას უფლებამოსილება დაეკისრა მიმდინარე წელს. მონიტორინგის ჩატარების მომენტში შემოწმებული იყო მხოლოდ ეთი ქართული დროშით მცურავი საშუალება. გამომდინარე აქედან, აღნიშნული საკითხი უნდა გადამოწმდეს მომდევნო მონიტორინგის დროს.
12. **წარმოდგენილია 100 რეგისტრული ტონის ზემოთ და მთლიანი ტონაჟით კლასიფიცირებული გემების რაოდენობა (შემოწმების კითხვარი - 3.2.6).**
   - შემუშავებულია რეესტრი. გაიცა რეკომენდაცია შეიმუშავონ რეესტრი აყვანილი გემის ტექნიკური მონაცემების და მახასიათებლების მიხედვით, ხოლო გაცემული საკლასიფიკაციო მოწმობების ვადების კონტროლისა და მონიტორინგის მიზნით შეიქმნას ცალკე რეესტრი.

13. ორგანიზაციამ დროულად უნდა აცნობოს ადმინისტრაციას მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი გემების მონაცემებისა და ამ მონაცემებში ცვლილების განხორციელების შესახებ (შემოწმების კითხვარი - 3.2.7).

- დაფიქსირდა ფაქტი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი გემების მონაცემებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, სააგენტოს შეტყობინების გარეშე. აღნიშნული ქმედება დარეგულირდა, მონიტორიგის ჩატარებამდე სააგენტოში გამართულ შეხვედრაზე გაითვალისწინებენ საჭიროებიდან გამომდინარე.

14. ორგანიზაციამ წინასწარ უნდა მოახდინოს ადმინისტრაციის ინფორმირება შეჩერებული ან ამოღებული გემების, ვადაგადაცილებული შემოწმებებისა და ინსპექტირებების ნებისმიერი დეფექტების ან ნაკლოვანებისა და დასაბუთებული ანგარიშების შესახებ შემოწმების კითხვარი - 3.2.8).

- N/A

15. ორგანიზაციამ წინასწარ უნდა აცნობოს ადმინისტრაციას გემების კლასიფიცირების, ჩატარებული ან ჩასატარებელი შემოწმებების შესახებ (შემოწმების კითხვარი - 3.2.9).

- მოთხოვნა სრულდება. შემოწმდა წერილით N15, 3 სექტემბერი 2019

16. ორგანიზაციამ უნდა აცნობოს ადმინისტრაციას გამოყენებული რეგულაციების, რეკომენდაციებისა და კოდექსებთან დაკავშირებული განახლებები შემოწმების კითხვარი - 3.2.11).

- მონიტორინგის დროს წარმოადგინეს შემუშავებული წესები ინგლისურ ენაზე, სასურველია არსებული წესების ქართულ ენაზე თარგმნა.

<u>2019 წლის მონიტორინგი მოიცავდა დოკუმენტური ტიპის შემოწმებას. მონიტორინგის ფარგლებში ჯგუფის წევრები დაესწრნენ აღიარებული ორგანიზაციის მიერ მცურავ საშუალება „ილორი“ - ის ტექნიკურ ინსპექტირებას. ჯგუფის წევრებს არ გააჩნდათ მ/საშუალების ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშირებით შენიშვნები.</u>

<u>აღიარებული ორგანიზაციაში არსებულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:</u>

1. 500 რეგისტრირებულ ტონაზე ნაკლები გემების და ზომამცირე გემის ტექნიკური დათვალიერების წესში დაემატოს ზომამცირე გემის განმარტება კანონმდებლობის შესაბამისად.

2. თანხვედრაში მოვიდეს საკლასიფიკაციო საზოგადოების წესებში და ზომამცირე გემის No.F07 მოწმობაში აღნიშნული მონაცემები. კერძოდ, მცურავი საშუალებისათვის მინიჭებული კატეგორიზაცია და მახასიათებლები (მაგ: C1, C2, C3) განიმარტოს შესაბამის წესებში.
3. შპს „BLACK SEA SHIPPING REGISTER" -ის თანამშრომლებმა, გასაუბრებისას განაცხადეს, რომ ეროვნულ და საერთაშორისო ნორმატიულ აქტებს ეცნობიან არაოფიციალური და გადაუმოწმებელი ინტერნეტ გვერდებიდან (მაგ:www.wikipedia.com და სხვ), ასევე დამატებითი ინფორმაციის წყაროდ მიუთითეს უცხო ქვეყნის ნორმატიული აქტები. მომავალში, გაწეული საქმიანობის კანონთან შეუსაბამობის თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია წვდომა ოფიციალურ მატერიალურ და ელექტრონულ საკანონმდებლო წყაროებთან. საქმიანობის განხორციელების დროს საკლასიფიკაციო საზოგადოებამ იქონიოს წვდომა ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სადაც ხელმისაწვდომია დაცული, მუდმივად განახლებადი ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, რეზოლუციები, ტექნიკური სახის ინსტრუქციები, გადაწყვეტილებები, აქტები, განცხადებები, რეგლამენტები, ცირკულარები და სხვა.
4. მნიშვნელოვანია, აღიარებულმა ორგანიზაციამ შეიმუშავოს პროცესი/მეთოდი, რომლის მიხედვითაც უზრუნველჰყოფს საკუთარი „ტექნიკური ზედამხედველობის წესების" ხელმისაწვდომობას (მაგ: ოფიციალურ ვებ გვერდზე), სააგენტოს უფლებამოსილი სტრუქტურებისათვის, ასევე მათი ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მცურავი საშუალების წარმომადგენლებისათვის. გასათვლისწინებელია აღნიშნულ წესებში ცვლილებების შეტანის შესახებ შეტყობინების ცირკულარული დაგზავნის მეთოდისა და ხელმისაწვდომობის სისტემის შემუშავება.

<u>დასკვნა:</u>

ჩატარებული მონიტორიგის საფუძველზე გამოვლინდა, რომ აღიარებული ორგანიზაცია ეტაპობრივად ასრულებს წინა აუდიტის დროს გამოვლენილ შენიშვნებისა და რეკომენტაციებს აღმოფხვრას. გასათვალისწინებელია, რომ ამ დროისთვის აღიარებული ორგანიზაციის ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება საქართველოს დროშის ქვეშ მყოფი 2 მცურავი საშუალება (11/11/2019 მდგომარეობით). ასევე, გამომდინარე იქედან, რომ აღიარებული ორგანიზაცია ახალ დაფუძნებულია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩაუტარდეს რიგგარეშე/განმეორებითი შემოწმება დოკუმენტირებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით.

მონიტორინგის ჯგუფის წევრების (ხელმოწერები):

ირაკლი სირაბიძე

მერაბ გოგიტიძე

ნინო ასათიანი

ინგა აშმეიბა

თარიღი:

საკლასიფიკაციო ორგანიზაციის წარმომადგენელი (სახელი, გვარი, ხელმოწერა):